

აღმოსავლეთის პარტნიორობის პრაღის სამიტის

ერთობლივი დეკლარაცია

7 მაისი 2009, პრაღა

ესწრებოდნენ

**ევროკავშირი, რომელსაც
წარმოადგენდნენ**

მ.ა. ბატონი მირეკ ტოპოლანეკი

მ.ა. ბატონი ხოსე მანუელ ბაროსო

მ.ა. ბატონი ხავიერ სოლანა

ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე

ევროკომისიის პრეზიდენტი

ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივანი /
საერთო საგარეო და უსაფრთხოების
პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი

სომხეთი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი სერჟ სარგსიანი

სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

ავსტრია, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ვერნერ ფეიშანი

ავსტრიის ფედერალური კანცლერი

აზერბაიჯანი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ილჰამ ალიევი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი

ბელარუსი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ვლადიმირ სემაშკო

ბელარუსის რესპუბლიკის პრემიერ
მინისტრის პირველი მოადგილე

ბელგია, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ჰერმან ვან რომპი

ბელგიის სამეფოს პრემიერ მინისტრი

ბულგარეთი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი სერგეი სტანიშევი

ბულგარეთის რესპუბლიკის პრემიერ
მინისტრი

კვიპროსი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი მარკოს კიპრიანუ

კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთ
მინისტრი

**ჩეხეთი რესპუბლიკა, რომელსაც
წარმოადგენს**

მ.ა. ბატონი მირეკ ტოპოლანეკი

ჩეხეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი

დანია, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ლარს ლეკკე რასმუსენი

დანია სამეფოს პრემიერ მინისტრი

ესტონეთი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ანდრუს ანსიპი

ესტონეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი

ფინეთი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი მათი ვანჰანენი

ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი

საფრანგეთი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ფრანსუა ფილონი

საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ
მინისტრი

საქართველო, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი

გერმანია, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ქალბატონი ანგელა მერკელი

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის
ფედერალური კანცლერი

საბერძნეთი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი კონსტანტინოს კარამანლისი

საბერძნეთის რესპუბლიკის პრემიერ
მინისტრი

უნგრეთი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი გორდონ ბაჟნაი

უნგრეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი

ირლანდია, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ბრაიან კოუენი

ირლანდიის ტიშოვი (პარლამენტის
თავმჯდომარე)

იტალია, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი მაურიციო საკონი

იტალიის რესპუბლიკის კეთილდღეობის
მინისტრი

ლატვია, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ვალდის დომბროვსკი

ლატვიის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი

ლიტვა, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ვიგაუსკას უასკასი

ლიტვის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა
მინისტრი

ლუქსემბურგი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ჟან ასელბორნი

ლუქსემბურგის დიდი საგრაფოს პრემიერ
მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა
მინისტრი

მალტა, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ტონიო ბორგი

მალტის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის
მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი

პოლონეთი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი დონალდ ტუსკი

პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი

პორტუგალია, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ლუიშ ამაღო

პორტუგალიის რესპუბლიკის სახელმწიფო და
საგარეო საქმეთა მინისტრი

**რესპუბლიკა მოლდოვა, რომელსაც
წარმოადგენს**

მ.ა. ბატონი ანდრეი სტრატანი

მოლდავეთის რესპუბლიკის პრემიერ
მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა და
ევროპული ინტეგრაციის მინისტრი

რუმინეთი, რომელსაც წარმოადგენს

მ.ა. ბატონი ემილ ბოკი	რუმინეთის პრემიერ მინისტრი
სლოვაკეთი, რომელსაც წარმოადგენს	
მ.ა. ბატონი რობერტ ფიკო	სლოვაკეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი
სლოვენია, რომელსაც წარმოადგენს	
მ.ა. ბატონი ბორუტ პაჰორი	სლოვენიის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი
ესპანეთი, რომელსაც წარმოადგენს	
მ.ა. ბატონი მიგელ ანხელ მორატინოსი	ესპანეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი
შვედეთი, რომელსაც წარმოადგენს	
მ.ა. ბატონი ფრედრიკ რაინფელტი	შვედეთის სამეფოს პრემიერ მინისტრი
ნიდერლანდები, რომელსაც წარმოადგენს	
მ.ა. ბატონი იან პიტერ ბალკენენდე	ნიდერლანდების სამეფოს პრემიერ მინისტრი
უკრაინა, რომელსაც წარმოადგენს	
მ.ა. ბატონი ვიქტორ იუშჩენკო	უკრაინის პრეზიდენტი
გაერთიანებული სამეფო, რომელსაც წარმოადგენს	
მ.ა. ბატონი დევიდ მილიბენდი	დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საკითხების სახელმწიფო მდივანი

ევროპარლამენტი, რომელსაც წარმოადგენს	
მ.ა. ბატონი ჰანს გერტ პოტერინგი	ევროპარლამენტის თავმჯდომარე
რეგიონთა კომიტეტი, რომელსაც წარმოადგენს	
მ.ა. ბატონი ლუკ ვან დენ ბრანდე	რეგიონთა კომიტეტის გენერალური მდივანი
ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი, რომელსაც წარმოადგენს	
მ.ა. ბატონი ივან ვოლუმი	ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის წევრი

ევროპის საინვესტიციო ბანკი, რომელსაც წარმოადგენს	
მ.ა. ბატონი ფილიპ მაისტადი	ევროპის საინვესტიციო ბანკის პრეზიდენტი
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, რომელსაც წარმოადგენს	
მ.ა. ბატონი ტომას მაიროუ	ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის პრეზიდენტი

პრადის აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტის ერთობლივი

დეკლარაცია

პრაღა, 7 მაისი 2009

სომხეთის რესპუბლიკის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ბელარუსის რესპუბლიკის, საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკის და უკრაინის სახელმწიფოს/მთავრობის მეთაურები და მათი წარმომადგენლები და ევროკავშირის წარმომადგენლები და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების/მთავრობების მეთაურები და მისი წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები შეხვდნენ პრაღაში, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ შექმნის გზით, ახალ ეტაპზე გადაიყვანონ მათ შორის არსებული ურთიერთობები. მხარეებმა შემდეგი ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს:

უფრო მრავლისმომცველი ურთიერთობები ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის

1. „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და მისი აღმოსავლეთით მდებარე პარტნიორი ქვეყნების (ქვემოთ მოხსენიებულია, როგორც პარტნიორი ქვეყნები) ერთობლივი ძალისხმევა, რომლსაც საფუძვლად უდევს საერთო ინტერესები და ამოცანები და საერთო პასუხისმგებლობა. მისი განვითარება მოხდება ერთობლივად და სრულიად გამჭვირვალედ.

პრადის სამიტის მონაწილეები თანახმდებიან, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ უნდა დაეფუძნოს საერთაშორისო კანონმდებლობის პრინციპებისა და ძირითადი ფასეულობების ერთგულებას, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას, ასევე, საბაზრო ეკონომიკას, მდგრად განვითარებას და კარგ მმართველობას.

„აღმოსავლეთის პარტნიორობა“ დაემყარება და შეავსებს უკვე არსებულ ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებს. მისი განვითარება ისე მოხდება, რომ ზიანი არ მიადგეს ცალკეული პარტნიორი ქვეყნის ევროკავშირთან მომავალი ურთიერთობის დაამყარებისკენ სწრაფვას. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ წარმმართველი პრინციპი იქნება განსხვავებული მიდგომა და პირობებზე დამყარებული ურთიერთობა.

„აღმოსავლეთის პარტნიორობა“ განვითარდება ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების პარალელურად.

2. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მთავარი ამოცანა ისეთი პირობების შექმნაა, რომლების დააჩქარებს ევროკავშირსა და დაინტერესებულ პარტნიორ ქვეყნებს შორის პოლიტიკური კავშირების დამყარებას და უფრო მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციას. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში“ სპეციალური ე.წ. აღმოსავლეთის განზომილების შეტანის გზით საგრძნობლად

გაძლიერდება ევროკავშირის პოლიტიკა პარტნიორი ქვეყნების მიმართ. ამ მიზნით, „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ მხარს დაუჭერს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ რეფორმებს პარტნიორ ქვეყნებში, რითაც ხელს შეუწყობს მათ ევროკავშირთან დაახლოებას. ეს კი ემსახურება ევროკავშირის, პარტნიორი ქვეყნების და მთელი ევროპული კონტინენტის ერთობლივ სწრაფვას სტაბილურობისკენ, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისკენ.

„აღმოსავლეთის პარტნიორობამ“ ხელი უნდა შეუწყოს სტაბილურობის და ნდობის აღდგენის მრავალმხრივი პროცესის გაგრძელებას. კონფლიქტები აფერხებენ თანამშრომლობას. ამიტომ, პრადის სამიტის მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საჭიროა მათი სწრაფად და მშვიდობიანად მოგვარება საერთაშორისო პრინციპებსა და ნორმებზე და მათ საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით.

უფრო მეტიც, „აღმოსავლეთის პარტნიორობამ“ შესაძლოა ხელი შეუწყოს თვით პარტნიორ ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებას.

3. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ნათელი პოლიტიკური გზავნილი რეფორმების კურსის გაგრძელება და მისი შემდგომი მხარდაჭერაა. „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ დამატებით სტიმულს მისცემს პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ, სოციალურ და რეგიონულ განვითარებას. ის ხელს შეუწყობს კარგი მმართველობის განვითარებას, ფინანსური სექტორის ჩათვლით, რეგიონულ განვითარებას და სოციალურ თანასწორობას, ასევე, დაეხმარება სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას პარტნიორ ქვეყნებში. ამ გზით, „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ დამატებით წვლილს შეიტანს იმ მაკროეკონომიკურ დახმარებაში, რომელიც შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების საშუალებით გამოიყოფა.

უფრო ინტენსიური მონაწილეობა ორმხრივ ურთიერთობებში

4. პრადის სამიტის მონაწილეების საერთო სურვილია ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის უფრო ღრმა და ინტენსიური ორმხრივი ურთიერთობის დამყარება. ამ პროცესში გათვალისწინებული იქნება ყოველ პარტნიორ ქვეყანაში არსებული სიტუაცია და ყოველი ქვეყნის მისწრაფება; გათვალისწინებული იქნება, აგრეთვე, არსებული ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირსა და ყოველ კონკრეტულ პარტნიორ ქვეყანას შორის. სამიტის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქოლგის ქვეშ წარმოებული ორმხრივი თანამშრომლობა შექმნის საფუძველს ასოცირების შესახებ შეთანხმებების ხელმოწერისა ევროკავშირსა და იმ პარტნიორ ქვეყნებს შორის, ვისაც აქვს ამის სურვილი და შესწევს სათანადო ვალდებულებების შესრულების უნარი.

5. ვაჭრობის და ინვესტირების არსებულ შესაძლებლობებთან ერთად, ასოცირების შესახებ ახალი შეთანხმებები ხელს შეუწყობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას ან ამ მიზნისკენ

სწრაფვას. ამ ზონებში ვაჭრობითა და ინვესტირების ლიბერალიზებით გამოწვეული დადებით შედეგებს განამტკიცებს მარეგულირებელი წესების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება, რაც საბოლოოდ ევროკავშირის კანონებთან და სტანდარტებთან კონვერგენციას გამოიწვევს. ღია ბაზრები და ეკონომიკური ინტეგრაცია აუცილებელია პარტნიორი ქვეყნების მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის და პოლიტიკური სტაბილიზების ხელშეწყობისთვის. ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ორმხრივი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონების დამკვიდრება გრძელვადიან პერსექტივაში შესაძლოა გადაიზარდოს თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონების ქსელში.

6. ცალკეული პარტნიორი ქვეყანის ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარების მიზნით, ევროკავშირი ყოველ მათგანთან ცალ-ცალკე განავითარებს ინსტიტუციური მშენებლობის ფართომასშტაბიან პროგრამას. ეს კი ტრეინინგის, ტექნიკური დახმარების და ნებისმიერი ინოვაციური ხერხის საშუალებით განხორციელდება.

7. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფერო არის მოქალაქეების გადაადგილების და უსაფრთხო გარემოში მათთვის ვიზების გამარტივების მხარდაჭერა. ეს ხელს შეუწყობს პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეთა მობილურობის გაზრდას ვიზების გამარტივების და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების საშუალებით. ევროკავშირი, თავისი „მიგრაციისადმი გლობალური მიდგომის“ შესაბამისად, თანდათანობით მიიღებს ზომებს, რათა მიღწეულ იქნას გრძელვადიანი მიზანი – ვიზების სრული ლიბერალიზება ყოველი ცალკეული პარტნიორი ქვეყნისთვის ცალ-ცალკე იმ შემთხვევაში, თუკი შეიქმნება სწორად მართული და უსაფრთხო მობილურობის პირობები.

8. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მიზანია ენერგოუსაფრთხოების განმტკიცება და თანამშრომლობა გრძელვადიანი, სტაბილური და უსაფრთხო ენერგომოწოდების და ტრანზიტის სფეროში, რაც ასევე მოიცავს უფრო ეფექტურ რეგულირებას, ენერგოეფექტურობას და განახლებადი ენერგორესურსების მეტ გამოყენებას. ენერგეტიკის სფეროში ურთიერთდამოკიდებულების შესახებ დებულებები შესაძლოა შევიდეს ასოცირების შესახებ ახალ შეთანხმებებში ან ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის არსებულ ორმხრივ მექანიზმებში. ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ევროკავშირის „ენერგეტიკის სფეროს მეორე სტრატეგიული მიმოხილვა“ და თითოეული პარტნიორი ქვეყნის ენერგოპოლიტიკა.

აქცენტი მრავალმხრივ თანამშრომლობაზე

9. აღმოსავლეთის პარტნიორობის მრავალმხრივი ჩარჩო ხელს შეუწყობს თანამშრომლობას და პარტნიორობის ინტერესების დაცვას ღია და

თავისუფალი დიალოგის საშუალებით. მრავალმხრივ ჩარჩოს საფუძვლად დაედება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი გადაწყვეტილებები; ის ხელს შეუწყობს ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარებას პარტნიორ ქვეყნებში გარდაქმნების, რეფორმების და მოდერნიზებისკენ გადადგმული ნაბიჯების შესახებ და დამატებით საშუალებას მიცემს ევროკავშირს, მისდიოს ამ პროცესებს. მრავალმხრივი ჩარჩო ხელს შეუწყობს საერთო პოზიციების ჩამოყალიბებას და ერთობლივი საქმიანობის წარმართვას. მრავალმხრივი ჩარჩოს მიზანია კავშირების წახალისება თვით პარტნიორ ქვეყნებს შორის; ის მოემსახურება სადისკუსიო ფორუმის შექმნას „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ შემდგომ განვითარებაზე სასაუბროდ.

სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზის დაახლოებას გადამწყვეტი როლი ენიჭება იმ პარტნიორ ქვეყნებში, რომლებსაც სურთ წარმატების მიღწევა ევროკავშირთან უფრო მჭიდროდ დაახლოების პროცესში. მრავალმხრივი ჩარჩო შექმნის იმ გარემოს, რომელშიც შესაძლებელი გახდება როგორც სისტემატური შეხვედრების მოწყობა, მათ შორის ევროკავშირის და მისი კანონმდებლობის და სტანდარტების პრეზენტაცია და განმარტება და მის ეროვნულ პოლიტიკასა და კანონმდებლობასთან შედარება.

10. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სახელმწიფოს/მთავრობის მეთაურების შეხვედრები ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდება. შეხვედრები ევროკავშირისა და პარტნიორ ქვეყნებში უნდა ჩატარდეს. საგარეო საქმეთა მინისტრები ყოველწლიურად შეხვდებიან. ეს მაღალი რანგის შეხვედრები ხელს შეუწყობს „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ შემდგომ განვითარებას და მის დახვეწას.

11. ამჟამად ევროკომისია მუშაობს ოთხი თემატური პლატფორმის ორგანიზებაზე, რომლებიც შესაძლებელს გახდის მიზნობრივი შეხვედრების და ღია და თავისუფალი დისკუსიების გამართვას თანამშრომლობის ძირითად საკითხებზე, კერძოდ, დემოკრატიაზე, კარგ მმართველობასა და სტაბილურობაზე, ასევე ეკონომიკურ ინტეგრაციაზე და ევროკავშირის დარგობრივ პოლიტიკასთან კონვერგენციაზე, ენერგოუსაფრთხოებასა და ადამიანებს შორის კონტაქტებზე.

12. პირველი შეხვედრები ოთხი თემატური პლატფორმის შესახებ 2009 წლის ივნისში ჩატარდება. ყოველი პლატფორმის ფარგლებში შემუშავდება რეალისტური, მთავარი მიზნების ერთობლიობა, რომელიც პერიოდულად განახლდება; შემუშავდება შესაბამისი სამუშაო პროგრამა და მოხდება მიღწეული წარმატების შეფასება. შეხვედრები შედგება მინიმუმ წელიწადში ორჯერ მაღალი რანგის ოფიციალური პირების დონეზე, რომლებიც შესაბამისი სფეროს რეფორმებში არიან ჩართულნი. პრაქტიკები ანგარიშვალდებულნი იქნებიან საგარეო საქმეთა მინისტრების

ყოველწლიური შეხვედრების წინაშე. დროდადრო პლატფორმების ფარგლებში განხორციელებული სამუშაოს ხელშეწყობა შესაძლოა განხორციელდეს კონკრეტული სექტორზე პასუხისმგებელი მინისტრების შეხვედრებზე. ასევე, შედგება ექსპერტთა ჯგუფები, რომლებიც დაეხმარებიან თემატური პლატფორმების მუშაობას კონკრეტულ სფეროში

მესამე ქვეყნებს უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ (თუმცა ყოველი ქვეყნის საკითხი ცალკე იქნება განხილული) კონკრეტულ პროექტებში, საქმიანობაში და თემატური პლატფორმების შეხვედრებში, სადაც ისინი წვლილს შეიტანენ როგორც კონკრეტული საქმიანობის მიზნებში და „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ზოგად მიზნებში. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მრავალმხრივი ჩარჩოს ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და ეფუძნებოდეს თანამშრომლობის პრინციპებს.

13. პრალის სამიტის მონაწილეები მხარს უჭერენ „ფლაგმანი“ ინიციატივების შემოღებას, რომლებიც „აღმოსავლეთის პარტნიორობას“ უკეთ წარმოაჩენენ, დამატებით დინამიკასა და კონკრეტულ შინაარსს შესძენენ. სამიტის მონაწილეები ელოდებიან პლატფორმების შესახებ დისკუსიის დროულად დაწყებას.

14. უზრუნველყოფილი იქნება ევროკავშირის და შესაბამისი პარტნიორი ქვეყნების რეგიონულ ინიციატივებთან, მაგალითად „შავი ზღვის სინერგია“, შეთანხმებული მოქმედება. სხვა ინიციატივებთან თანამშრომლობა განხილული იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

15. პრალის სამიტს ესწრებოდნენ ევროპარლამენტის, რეგიონთა კომიტეტის, ევროპის რეგიონული და სოციალური კომიტეტის, ევროპის საინვესტიციო ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის უმაღლესი რანგის წარმომადგენლები. „აღმოსავლეთის პარტნიორობაში“ ჩართული იქნება მონაწილეთა ფართო სპექტრი, მათ შორის, მინისტრები და სამთავრობო სამსახურები, პარლამენტები, სამოქალაქო საზოგადოება, საერთაშორისო ორგანიზაციები (ეუთო, ევროპის საბჭო და ევროპის თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია), საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, კერძო სექტორი, ეკონომიკური და სოციალური პარტნიორები თანამშრომლობის მრავალმხრივი პლატფორმების ფარგლებში.

ამიტომ, პრალის სამიტის მონაწილეები სთხოვენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტარებს წამოაყენონ წინადადებები ევროპარლამენტის ინიციატივასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნას „ევროკავშირის აღმოსავლეთის სამეზობლოს საპარლამენტო ასამბლეა“; ასევე, სთხოვს ევროკომისიას შეიმუშავოს და წამოაყენოს

მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს „აღმოსავლეთის სამეზობლოს“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შექმნას.

მონაწილეები, ასევე, მიმართავენ ევროპის საინვესტიციო ბანკს „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მანდატის ფარგლებში იმუშავოს ინვესტიციების მხარდაჭერაზე მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. მონაწილეები მიმართავენ ევროპის საინვესტიციო ბანკს, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, რომ მათ ერთობლივად შექმნან შესაბამისი მექანიზმი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის.

დაფინანსება

16. 2009 წლის მარტში ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული „აღმოსავლეთის პარტნიორობის დეკლარაციის“ შესაბამისად, გაეწევა ევროკავშირის ფინანსური დახმარება, რომელიც მოემსახურება „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მიზნების შესრულებას; მხედველობაში იქნება მიღებული ის წარმატება, რომელსაც მიაღწევს ყოველი პარტნიორი ქვეყანა. პრადის სამიტის მონაწილეები თანხმდებიან, რომ ევროგაერთიანების საგრანტო დახმარების და ქვეყნის თანადაფინანსებასთან ერთად, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ განხორციელებას დამატებითი ფინანსური რესურსები დასჭირდება; ამიტომ, ისინი მოუწოდებენ სხვა დონორებს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს და კერძო სექტორს, გამოყონ დამატებითი დაფინანსება რეფორმების, „ფლაგმანი“ ინიციატივებისა და პროექტებისთვის.

17. „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ უნდა მოიცავდეს ინოვაციურ მიდგომას, რომელიც ხელს შეწყობს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. აქტიურმა პოლიტიკურმა მხარდაჭერამ და ევროკავშირის მიერ კერძო სექტორისთვის შექმნილმა სტიმულირების ინიციატივებმა და გარანტიებმა უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც წახალისებს ინვესტირებას პარტნიორ ქვეყნებში განსახორციელებელ პროექტებში და ამ გზით, წვლილს შეიტანს „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მიზნების მიღწევაში.

18. პრადის სამიტის მონაწილეები მოუწოდებენ ევროპის საინვესტიციო ბანკს, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანს და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს უფრო აქტიურად დაეხმარონ პარტნიორ ქვეყნებს რეფორმირების და მოდერნიზების პროცესში და შეიმუშავონ შესაბამისი საინვესტიციო პროექტები.

დასკვნითი დებულებები

19. პრადის სამიტის მონაწილეები თანხმდებიან, რომ აუცილებელია „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ძირითადი პრინციპების და მიზნების საზოგადოებაში პოპულარიზება, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“

მხარდაჭერის მობილიზება და გათვითცნობიერებულობის გაზრდა. კონკრეტული პროექტების და საქმიანობის ვიზუალურად უკეთ წარმოჩენა ამ ინიციატივებს მოქალაქეებისთვის უფრო გასაგებს გახდის

20. პრადის სამიტის მონაწილეები მოუწოდებენ ევროკავშირის საბჭოს დღევანდელ და მომდევნო თავმჯდომარე ქვეყნებს და ევროკომისიას უფრო ინტენსიური გახადონ მათი ძალისხმევა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, რომ განისაზღვროს მინისტრების და მაღალი რანგის ოფიციალური პირების შეხვედრების გრაფიკი, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მრავალმხრივი ჩარჩოს ფარგლებში; ასევე, განისაზღვროს თემატური პლატფორმებით გათვალისწინებული საქმიანობის პრიორიტეტები 2009–2010 წლებისთვის და მომზადდეს წინადადებები „ფლაგმანი“ ინიციატივების დროულად განხორციელების.

21. პრადის სამიტის მონაწილეებს სჯერათ, რომ სამიტის შედეგები და „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ შექმნა ხელს შეუწყობს დემოკრატიის მიზნების განხორციელებას, განამტკიცებს სტაბილურობას და კეთილდღეობას და მასში მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს გრძელვადიან და ხელშესახებ სარგებელს მოუტანს. პრადის სამიტის მონაწილეები ერთობლივად იღვაწებენ წინამდებარე ერთობლივ დეკლარაციაში მოცემული მიზნების მისაღწევად.

Unofficial Georgian translation

Delegation of the European Commission to Georgia

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში

38, Nino Chkheidze Street, Tbilisi 0102, Georgia - <http://www.delgeo.ec.europa.eu>